

შპს ტოპ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა	6
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
6. სავაჭრო მოთხოვნები	10
7. გადახდილი ავანსები.....	10
8. სხვა მიმდინარე აქტივები	10
9. ძირითადი საშუალებები.....	10
10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	11
11. სესხები	11
12. შემოსავალი მომსახურებიდან	11
13. მომსახურების თვითღირებულება	11
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-18	31-12-17
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	639,225	1,482,887
სავაჭრო მოთხოვნები	6	349,995	412,688
გადახდილი ავანსები	7	103,298	6,176
სხვა მიმდინარე აქტივები	8	1,161,691	179,874
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,254,209	2,081,625
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	199,596	277,630
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში		13,383	12,961
სულ გრძელვადიანი აქტივები		212,979	290,591
მთლიანი აქტივები		2,467,188	2,372,216
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		61,077	301,528
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	541,409	693,652
სესხები	11	911,317	-
სულ ვალდებულებები		1,513,803	995,180
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		953,385	1,377,036
სულ საკუთარი კაპიტალი		953,385	1,377,036
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,467,188	2,372,216

აღმასრულებელი დირექტორი

ვახტანგ ვახტანგიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-18
შემოსავალი მომსახურებიდან	12	4,429,915
მომსახურების თვითღირებულება	13	(1,194,758)
საერთო მოგება		3,235,157
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,622,735)
საოპერაციო მოგება		(387,578)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი		18,067
ზარალი დაბეგვრამდე		(369,511)
მოგების გადასახადი		-
ზარალი წლის განმავლობაში		(369,511)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი	1,377,036	1,377,036
დივიდენდი	(54,140)	(54,140)
ზარალი წლის განმავლობაში	(369,511)	(369,511)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	953,385	953,385

აღმასრულებელი დირექტორი

ვახტანგ ვახტანგიშვილი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტოპ გრუპი დაფუძნდა 2008 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა N4. კომპანიის საინდეფიკაციო კოდია: 205249667. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ლევან ლევსვერიძე (ს/კ 01024051720) – 25%

ირაკლი თევზაძე (ს/კ 01024051406) - 25%

ვახტანგ ვახტანგიშვილი (ს/კ 01019017614)-25%

გიორგი ბურჭულაძე (ს/კ 01008033349) - 25%

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს სარეკლამო საქმიანობა და პროგრამირება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი - ვახტანგ ვახტანგიშვილი, ს/კ 01019017614 და გენერალური დირექტორი-გიორგი ბურჭულაძე, ს/კ 01008033349, რომლებიც ფლობენ კომპანიის 25-25% წილს.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილებსა და ასოცირებულ კომპანიებს:

შვილობილი	31.12.2018 მფლობელობა	ყიდვის/დაარსების წელი
შპს ლივინგსტონ ლაბ	80%	2014
შპს არელი ინქ	80%	2015
შპს ნებულა	40%	2015
შპს ნოვუს დეველოპმენტი	25.5%	2018

ასოცირებული კომპანია	31.12.2018 მფლობელობა	ყიდვის/დაარსების წელი
LUCKSTOCK INC	4.05%	2017

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

მსს ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ყველა სავალდებულო გამონაკლისი.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ახორციელებს მომსახურების ექსპორტს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მის ფუნქციონალურ ვალუტას ქართულ ლართან ერთად წარმოადგენს ევრო და ამერიკული დოლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-16-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	2-8
სხვა ძირითადი საშუალებები	2-4

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.5 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

4.6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე. კომპანიას არ გააჩნია სალაროს ნაშთი.

6. სავაჭრო მოთხოვნები

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი მოთხოვნების საბალანსო ნაშთები:

	31.12.2018	01.01.2018
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	349,995	412,688
სულ მოთხოვნები	349,995	412,688

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები ძირითადად შედგება სხვადასხვა პროექტის განხორციელებამდე ქვეკონტრაქტორებისათვის წინასწარ გადახდილი თანხებისგან.

8. სხვა მიმდინარე აქტივები

აღნიშნულ მუხლში შედის გაცემული სესხები შვილობილ და სხვა დაკავშირებულ კომპანიებზე.

9. ძირითადი საშუალებები

კატეგორია	31-12-18	31-12-17
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	35,987	41,453
მანქანა-დანადგარები	10,976	25,304
ოფისის აღჭურვილობა	103,033	161,456
ავეჯი და სხვა ინვენტარი	48,866	48,244
სხვა მცირეფასიანი ინვენტარი	734	619
სატრანსპორტო საშუალება	-	554
სულ	199,596	277,630

10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-18	31-12-17
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	93,816	104,008
საგადასახადო ვალდებულებები	20,540	158,596
გამოუმუშავებელი შემოსავალი	403,783	425,194
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	23,270	5,854
სულ	541,409	693,652

11. სესხები

შპს ტოპ გრუპმა აიღო თიბისი ბანკის გრძელვადიანი სესხი საინვესტიციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

12. შემოსავალი მომსახურებიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის სარეკლამო და ციფრული პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

13. მომსახურების თვითღირებულება

კომპანია ახდენს სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვას, როგორც იურიდიული ასევე, ფიზიკური პირებისგან. ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

აღნიშნულ მუხლში შედის დასაქმებულთა ანაზღაურება, ცვეთა და ამორტიზაცია, იჯარის ხარჯი და ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.